მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №35

2022 წლის 11 აპრილი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამული“-ს შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №307 დადგენილების **მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:**

1. მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნისა და მისთვის სახელწოდების ,,მამული“ მინიჭების თაობაზე.
2. განკარგულება დასახლების სახელდების მოწონების თაობაზე, დასკვნის მიღების მიზნით გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიას და დაინტერესებულ პირებს, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით.
4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა